



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31220842

თარიღი:25/03/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №11

2022 წლის 25 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულ თავისუფლების ქუჩის II ჩიხს მიენიჭოს ქუჩის სტატუსი.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე არსებულ ქუჩას ეწოდოს დარეჯან ქინქლაძის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჯარო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



